თარგმანი

ენდრიუ ჰინდმური, ბრედ ტეილორი. რაციონალური არჩევანის თეორია(პოლიტიკის მეცნიერებაში)

შესავალი

რაციონალური არჩევანის მიდგომა პოლიტიკის შესწავლაში ეკონომიკის მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ამის შესახებ ვრცლად ვისაუბრებთ ამ თავის შემდეგ ნაწილებში, მაგრამ ორი მთავარი დაშვება, რომლებიც აბსოლუტურად ცენტრალური მნიშვნელობისაა რაციონალური არჩევანის თეორიისთვის, წინასწარვე შეიძლება გამოიკვეთოს, კერძოდ: რაციონალურობა და პირადი ინტერესი. არ აქვს მნიშვნელობა პოლიტიკის რომელ ასპექტს შეისწავლიან, ან ვისი ქცევის ახსნას ცდილობენ, რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები, მცირე გამონაკლისის გარდა, ახსნას იწყებენ ვარაუდით, რომ ადამიანების მიერ არჩეული გზები საუკეთესოდ უზრუნველყოფენ მათ მიზნებს და ეს მიზნები ყოველთვის თანხვედრაშია მათ პირად ინტერესებთან.

ამ ვარაუდის დამაჯერებლობა შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ რთულია მათ სარგებლიანობაში ეჭვის შეტანა, რადგან თუ ადამიანები პირად ინტერესზე მორგებულები და რაციონალური არსებები არიან, პოლიტიკური მოვლენების შესახებ მარტივი, მაგრამ პოტენციურად ძლიერი ახსნების აგებაა შესაძლებელი. რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები ხშირად აგებენ პოლიტიკური ქცევის თავბრუდამხვევად რთულ მოდელებს, რომლებიც სავსეა განტოლებებითა და მათემატიკური დანართებით. მაგრამ ამხსნელობითი სამუშაო, რომელიც ეფუძნება პირად ინტერესებსა და რაციონალურობის დაშვებებს მაინც ადვილად გასაგები ხდება. რატომ ამცირებენ მთავრობის წარმომადგენლები გადასახადებს არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე? რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები ცინიკურად გვიპასუხებენ, რომ მთავრობები ამცირებენ გადასახადებს ხელახალი არჩევის შანსების გასაზრდელად და ამას აკეთებენ რწმენით, რომ ამომრჩევლები მიდრეკილნი არიან ისეთი მთავრობების მხარ-

დაჭერისკენ, რომლებსაც შეუძლიათ ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნა, თუნდაც ბუტაფორულად (გარეგნულად).

რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები არ იყვნენ პირველები, რომლებმაც გამოიყენეს რაციონალურობისა და პირადი ინტერესის დაშვებები. საერთაშორისო ურთიერთობების ,,რეალიზმის“ ტრადიცია, რომელსაც სათავეს ძველი საბერძნეთისა და თუკიდიდეს პელოპონესის ომის ისტორია უდებს, აყენებს ვარაუდს, რომ სახელმწიფოთა ქმედებები აიხსნება ძალაუფლების მოპოვების ინტერესებით, ხოლო მათი ლიდერების საუბარი სამართლიანობის, მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ქცევის საერთაშორისო ნორმებისადმი ვალდებულებების შესახებ უბრალოდ ,,მოჩვენებით საუბარს“ წარმოადგენს. 1980-იანი წლებიდან რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები ყველაზე გულმოდგინედ იყენებდნენ რაციონალურობისა და პირადი ინტერესების დაშვებებს პოლიტიკური ქმედებების ფართო სპექტრში ანალიზისთვის.

რაციონალური არჩევანის თეორია შეიმუშავა ეკონომისტთა და პოლიტიკის მეცნიერთა გარკვეულმა ნაწილმა, რომლებიც 1960-იან წლებში ამერიკულ უნივერსიტეტებში მუშაობდნენ. თავდაპირველად ის გაჩნდა ეკონომიკური ჟურნალების ფურცლებზე, 1980-იანი წლების დასაწყისიდან კი ეტაპობრივად პოლიტიკის მეცნიერების ისტორიის მეინსტრიმადაც იქცა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში პოლიტიკის შესწავლაში მის დომინირებაზეც საუბრობდნენ. მართლაც, ამ პერიოდში იმდენად გაიზარდა რაციონალური არჩევანის პოპულარობა, რომ მან სხვადასხვა სახელებიც შეიძინა: რაციონალური არჩევანის თეორია, რაციონალური მოქმედების თეორია, საჯარო არჩევანის თეორია (რომელსაც მისი მომხრეები რაციონალური არჩევანის თეორიის უფრო სპეციფიურ ვერსიად თვლიდნენ, რომელიც კონკრეტულად სამთავრობო ქცევებზე აკეთებდა აქცენტს) და საზოგადოებრივი არჩევანის თეორია (რომელიც წარმოადგენდა რაციონალური არჩევანის თეორიის ქვეჯგუფს და იკვლევდა ხმის მიცემის თვისებებსა და ინდივიდუალური პრეფერენციების გაერთიანების შესაძლებლობებს საზოგადოებრივი არჩევანის შესაქმნელად). რაციონალური არჩევანის ერთ-ერთი წამყვანი

მომხრე, დენის მიულერი (1993, გვ 174) მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ,,რაციონალური არჩევანისა და პოლიტიკური მეცნიერების გაყოფა მომდევნო თაობებში შეუძლებელი იქნება“ და, რომ რაციონალური არჩევანი ,,იქნება ეკონომიკის დარგი, რომელიც მოიცავს მთელ პოლიტიკურ მეცნიერებას“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ასე არ მოხდა, მრავალი პოლიტიკის მეცნიერი, ნაცვლად იმისა, სიღრმისეულად შეესწავლათ რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსების აზროვნება, აკრიტიკებდნენ მას არჩევანის და ვარაუდების ზედაპირულობის, პოლიტიკური მიკერძოებისა და მცდარი პროგნოზების დაშვების გამო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკა და პოლიტიკა ადამიანის საქმიანობის ძალიან განსხვავებული სფეროებია და შესაბამისად, მეთოდები, რომლებიც შეიძლება მუშაობდეს ეკონომიკაში, პოლიტიკის მეცნიერებისთვის სრულად უფუნქციო აღმოჩნდეს.

ბოლო პერიოდში რაციონალურ არჩევანთან მიმართებაში კამათი იკლებს (Hindmoor, 2011), რამდენადაც რაციონალური არჩევანის თეორია დისციპლინის გაყოფას აღარ ახდენს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსებმა ისწავლეს, თუ როგორ უნდა მიუდგნენ უფრო მარტივად ზოგიერთ დაშვებას. თანდათანობით, პოლიტიკური მეცნიერების ბევრ საინტერესო შრომაში აღარ ვხვდებით რაციონალური არჩევანის თეორიის გულმხურვალე დაცვას ან მასზე თავდასხმას, ნაცვლად ამისა, ძირითადად აქცენტი კეთდება ამ თეორიულ ახსნებს შორის ,,საზღვრების გადაკვეთის“ მცდელობებზე (Thelen, 1999), რომელშიც რაციონალური არჩევანის ახსნები, სხვა თეორიულ მიდგომებთან ერთად არის გამოყენებული.

შემდეგ თავში უფრო დეტალურად აღვწერთ რაციონალური არჩევანის მეთოდის შემადგენელ ელემენტებს. ასევე, ვაჩვენებთ იმას, თუ როგორ აიგება ეს მეთოდი და როგორ შეიძლება მისი პრაქტიკაში გამოყენება სხვა თეორიულ ახსნებთან ერთად. კოლექტიური ქმედების კონცეფციას კი განვიხილავთ გარემოსდაცვით პოლიტიკასთან მიმართებაში. ასევე, ვაჩვენებთ რაციონალური არჩევანის თეორიის წინააღმდეგ წამოჭრილ რამდენიმე თვალსაჩინო კრიტი-

კას და რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსების პასუხს ამ კრიტიკაზე.

ეკონომიკის მეთოდები (და რაციონალური არჩევანი)

რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები ეკონომისტებივით აზროვნებენ. როგორ აზროვნებენ ეკონომისტები? უმარტივესი პასუხია, რომ ისინი დედუქციურად აზროვნებენ. ისინი იწყებენ ვარაუდით, რომ ადამიანები არიან რაციონალური და პირად ინტერესებზე მორგებული არსებები და შემდეგ შეისწავლიან, თუ როგორ იქცევიან ადამიანები მათი მოლოდინების გათვალისწინებით სხვადასხვა სიტუაციაში. და ასევე, როგორ მოიქცეოდნენ ამავე სიტუაციაში რაციონალურ და პირად ინტერესებზე ორიენტირებული ადამიანები. ამ გაგებით, რაციონალურობა ინსტრუმენტულ რაციონალურობას მოიცავს, სადაც ადამიანებს შეუძლიათ განსაზღვრონ მოქმედების კურსი, რომელიც, სავარაუდოდ, საშუალებას მისცემს მიაღწიონ დასახულ მიზნებს.

უფრო დაწვრილებით რომ ვთქვათ, ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ ადამიანები პროგნოზირებულად რეაგირებენ სტიმულებზე და იმის გარკვევა, თუ რა მოხდება კონკრეტულ ვითარებაში, სწორედ ამ სტიმულების გამორკვევითაა შესაძლებელი. ამისთვის ეკონომისტები, როგორც წესი, ქმნიან მოდელებს (თეორიულად, არა ლიტერატურულს) კონკრეტულ სიტუაციებში ადამიანთა ქცევებისა და მოვლენების პროგნოზირებისთვის. შემდეგ კი მათ ამოწმებენ პრაქტიკაში არსებულ მონაცემებთან შეპირისპირების გზით. რას წარმოადგენს მოდელი? ადამიანები ფიქრობენ მოდელზე, როგორც მცირე ობიექტზე, რომელმაც, სრულყოფილი მასშტაბის შემთხვევაში, ზუსტად უნდა წარმოადგინოს დიდი ობიექტი. მაგალითად ავიღოთ თვითმფრინავის ან ქალაქის მოდელი, ამგვარი მოდელები ,,იზომორფულია“ იმ გაგებით, რომ მაღალი ხარისხითაა შესაბამისობაში იმ ობიექტთან, რომლის მოდელსაც წარმოადგენენ. ეკონომიკური მოდელები განსხვავდებიან ამგვარი მოდელებისგან, მათი მიზანია ზოგიერთი სიტუაციის არსებითი მახასიათებლების გამორჩევა. ამ გაგებით, ეკონომიკური მოდელები იდეალიზაციებია,

რომლებიც, მარტივი და არასრულია, მაგრამ გვეხმარება სოციალური სამყაროს გაგებაში. არიელ რუბენშტაინი (2012, გვ. 16) ფორმალურ მოდელებს ხედავს, როგორც ,,იგავ-არაკებს“, რომლებიც შექმნილია უფრო ზოგადი მიზნებისთვის, კერძოდ სასარგებლო გაკვეთილების მისაღებად. მოდელი, მსგავსად მოთხრობისა, ,,ფანტაზიასა და რეალობას შორის ტრიალებს... ის თავისუფალია არარელევანტური დეტალებისა და არასაჭირო მიმართულებების ცვლილებისგან. ამ შეხედულებით, რაციონალური არჩევანის მოდელებიდან ვსწავლობთ იმავეს, რასაც ლიტერატურიდან: ,,ფანტაზიიდან რეალურ სამყაროში გადმოსვლისას, ზღაპრის დედააზრი გადმოგვაქვს და მსგავს სიტუაციებში გონივრულად ვიყენებთ მას“.

ბევრი ეკონომიკური მოდელი ახალს არაფერს გვთავაზობს. რა ხდება მაშინ, როდესაც პროდუქტის ფასი იზრდება? ცხადია, მოთხოვნა იკლებს. რა მოხდება, თუ მთავრობები გაზრდიან ქონების გადასახადს? უფრო მეტი ადამიანი სიკვდილამდე აჩუქებს ქონებას ნათესავს, გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით. მაგრამ ყველაზე საინტერესო ეკონომიკური მოდელები გვიჩვენებენ, თუ როგორ უბიძგებს სტრუქტურირებული სტიმულები ადამიანებს მოულოდნელი ან ხშირად არახელსაყრელი ქცევისკენ. მაგალითად, შევხედოთ მანქანების უსაფრთხოების საკითხს, რომელსაც ახლა ბევრად მეტი ყურადღება ექცევა უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით, ვიდრე ადრე. უსაფრთხოების ნაწილს დაემატა ისეთი ფუნქცია, როგორიცაა საჰაერო ბალიშები, რომელიც სტანდარტადაც კი იქცა ეკონომიური მოდელის მანქანებშიც. ასევე, ქვეყნების უმრავლესობაში მძღოლებისა და მგზავრებისგან ღვედის ტარება სავალდებულოა. ნიშნავს კი ეს, რომ ჩვენ ყველანი ბევრად უსაფრთხოდ ვართ? გადაჭრით ვერ ვუპასუხებთ. 1970-იანი წლების შუა პერიოდში ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი სემ ლეპცმანი ამტკიცებდა, რომ ადამიანები განსხვავებულად რეაგირებენ უსაფრთხოების ახალი წესების შემოღებაზე და მას მზარდად სარისკო ქცევით პასუხობენ, რითაც ამ ცვლილების სარგებელს უარყოფენ. კერძოდ, თუ ადამიანები ყიდულობენ ახალ და ბევრად უფრო უსაფრთხო მანქანას, სადაც ავარიის შემთხვევაში დაღუპვის

ან სერიოზულად დაშავების საფრთხეები მცირდება, შეიძლება უფრო სწრაფად და აგრესიულად დაიწყონ მანქანის მართვა, რათა სწრაფად მიაღწიონ დანიშნულების ადგილს. რაც, თავის მხრივ, პოტენციურად მძიმეა ფეხით მოსიარულეებისთვის, რომელთა შეჯახების შემთხვევაში გადარჩენის შანსები უფრო მეტად დამოკიდებული იქნება მათზე მანქანის დარტყმის სიჩქარეზე, ვიდრე მანქანის უსაფრთხოების ფუნქციების რაოდენობასა ან ხარისხზე. ან წარმოვიდგინოთ მომხმარებლისა და ბიზნესის ქცევა. ეკონომიკური ვარდნის დაწყებისას, როდესაც ნდობა დაბალია, ზრდა შემცირებული და სამუშაო ადგილების დაკარგვა მზარდი, მომხმარებლებსა და ბიზნესებს აქვთ სტიმული, გადახედონ თავიანთი ხარჯვის გეგმებს. სამსახურის დაკარგვის შიშით, მომხმარებლებმა შეიძლება შეწყვიტონ ახალი და უსაფრთხო მანქანის ყიდვა, მეტი დანაზოგის მოსაგროვებლად. იმის შიშით, რომ მომხმარებლები დაზოგვას დააპირებენ და არა დახარჯვას, ბიზნეს მენეჯერებმა შესაძლოა გააუქმონ შემოთავაზებული ინვესტიციები. ასეთი ქცევა ინდივიდუალური პერსპექტივიდან სავსებით ლოგიკურია, რამდენადაც ლოგიკას მოკლებული იქნებოდა მომხმარებლის მხრიდან სხვა ქცევა, როცა მათ გარშემო სამყარო იცვლება. მაგრამ როგორც ჯონ მეინარდ კეინსი ამტკიცებდა 1936 წელს დიდი დეპრესიის პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომში ,,დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, თუ ყველა ამგვარად მოიქცევა, ეს გამოიწვევს დაბალ მოხმარებას, რაც, თავის მხრივ, კავშირშია მეტი სამუშაოს დაკარგვასთან და ეკონომიკის შეკუმშვის მანკიერ წრესთან. დავბრუნდეთ რამდენიმე თაობით წინ და გავიხსენოთ კეინსის ეკონომიკური პარადოქსი, რომელიც გვეუბნება, თუ რატომ დაუშვა მთავრობებმა 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ ამდენი შეცდომა, როდესაც საჯარო ხარჯების შემცირება გადაწყვიტეს. ეკონომიკური კრიზისის დროს მთავრობამ უფრო მეტი უნდა დახარჯოს კერძო სექტორში, დაბალი დანახარჯების კომპენსაციისთვის და ამით გაზარდონ ნდობაც. ნაწილი ამას არ ეთანხმება. ,,ექსპანსიონური ფისკალური შეკუმშვის“ თეორია ამტკიცებს, რომ მთავრობებს შეუძლიათ დაიწყონ ეკონომიკური ვარდნის შემცირება ხარჯების შემცირებით,

რადგან ხალხი ფიქრობს, რომ ხარჯების შემცირება მომავალში გადასახადების შემცირებას გამოიწვევს - რაც წაახალისებს ხალხს მეტი ფულის დახარჯვაში. ამ ორ თეორიას შორის უთანხმოება როგორც პოლიტიკური, ასევე, ეკონომიკურიცაა. მაგრამ, რასაც ეს დებატები გვიჩვენებს არის ის, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები რაციონალურად და პროგნოზირებულად რეაგირებენ სტიმულებზე და ყველაზე კარგად იმის გაგება, თუ რა ხდება მსოფლიოში, სწორედ ამგვარი მოდელების შექმნით და გადამოწმებითაა შესაძლებელი ხელმისაწვდომი მონაცემების ჭრილში.

ზუსტად იმიტომ, რომ ეკონომიკა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მეთოდი და არა უბრალოდ საგანი, ეკონომიკას ყოველთვის ჰქონდა იმპერიალისტური მხარე. კიდევ ერთმა ჩიკაგოელმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, გარი ბეკერმა სახელი 1960-იან წლებში ქორწინების, შვილების აღზრდისა და რასობრივი დისკრიმინაციის ეკონომიკური მოდელის შექმნით გაითქვა. ცოტა ხნის წინ, ბეკერის ყოფილმა სტუდენტმა, სტიველ ლევიტმა წარმოადგინა ვარაუდი, რომ ,,სტიმულები თანამედროვე ცხოვრების ქვაკუთხედია“, (Levitt and Dubner, 2005: 11), რითაც ახსნა ნარკოტიკის მომხმარებლების, სექს სამუშაოში ჩართული ადამიანებისა და ტერორისტების ქცევა ისეთ ბესტსელერულ გამოცემებში, როგორიცაა Freakonomics, Superfreakonomics და Things Like Freak.

ამგვარად, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ პოლიტიკის შესასწავლად ეკონომიკის მეთოდები იქნება გამოყენებული. შემდეგ ნაწილში განვიხილავთ ერთ თეორიულ სფეროს: კოლექტიური მოქმედება. მაგრამ მანამდე, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ რაციონალური არჩევანის თეორია შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური მეცნიერების ნებისმიერ ობიექტზე - ხმის მიცემა, პარტიული კონკურენცია, უსაფრთხოების დილემები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში, კონფლიქტების მოგვარება, ინტერესთა ჯგუფების ლობირება, გადანაწილება, რეგულირება, საკონსტიტუციო ცვლილებები, საკანონმდებლო ცვლილებები, მოლაპარაკებები, სამთავრობო ხელშეკრულებებსა თუ პოლიტიკის დღის წესრიგის დადგენისას.

კოლექტიური მოქმედების ლოგიკა

თუ ინდივიდები რაციონალურები არიან, ლოგიკურია, რომ ჯგუფები, რამდენადაც ინდივიდებისგან შედგებიან, რაციონალურები იქნებიან. თუ ჯგუფი იზიარებს საერთო მიზანს და მასზე ყველა თანხმდება, შესაძლოა გვქონდეს მოლოდინი, რომ ამ მიზნის მიღწევაში ჯგუფის ყველა წევრი შეიტანს წვლილს. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ ხდება და რაციონალური არჩევანის თეორია ამის ახსნაში გვეხმარება.

აეროპორტში ბარგის მოლოდინში, ჩვეულებრივ, საბარგოს ირგვლივ შეფუთულ ადამიანთა ბრბოს შეხვდებით. თუ ყველა ორი ნაბიჯით უკან დაიხევს, ბევრად უფრო მარტივი იქნება ჩანთის ამოცნობა და აღება და მგზავრობის ბოლოს ეს პროცესიც ნაკლებად გამაღიზიანებელი გახდება. მაგრამ აქ დგება პრობლემა. თუ მხოლოდ თქვენ გადმოხვალთ უკან და დანარჩენები წინ დარჩებიან, დიდხანს ლოდინი მოგიწევთ. ხოლო ვინც უფრო წინ გადაიწევს, უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. მაგრამ, როცა ერთი ადამიანიც კი წინ გადაიწევს, სხვა ადამიანებიც წინსვლით პასუხობენ და საბოლოოდ, სწორედ აქ დგება კოლექტიური მოქმედების პრობლემა. ადამიანებს ნაკლებად აქვთ სტიმული იმოქმედონ ისე, რაც ყველასთვის საუკეთესო იქნება.

მსგავს სიტუაციებს განიხილავს მანქურ ოლსონი თავის კლასიკურ ნაშრომში ,,კოლექტიური მოქმედების ლოგიკა“ (1965), სადაც ზოგადი და აბსტრაქტული გზებით ცდილობს ახსნას და იწინასწარმეტყველოს რატომ და როდის წარმოიქმნება კოლექტიური მოქმედების პრობლემები. ჯგუფი, რომელიც ეძებს კოლექტიურ სარგებელს, მოითხოვს მისი წევრების მონაწილეობას ამ საქმიანობაში, რაც შეიძლება გამოიხატოს, როგორც აქტიური მონაწილეობით (პეტიციაზე ხელმოწერა, საპროტესტო აქციაში მონაწილეობა, მათი წილი საცხოვრებელი ფართის დასუფთავება) ასევე პასიური მდგომარეობით (მსგავსად ზემოთდასახელებული შემთხვევისა, თუ მგზავრები თანაბრად მოქმედებენ საბარგო კარუსელის ირგვლივ). ნებისმიერ შემთხვევაში, ინდივიდები უნდა ჩაერთნონ ქმედებაში, რომე-

ლიც შეიძლება ინდივიდუალურად რთული იყოს, თუ კოლექტიური სარგებელი სურთ ჯგუფისთვის. მთავარი საშიშროება აქ ისაა, რომ ინდივიდები, კოლექტიური სიკეთის უზრუნველყოფისას, საკუთარ ძალისხმევას მცირე გავლენის მქონედ აღიქვამენ. თითოეულ მგზავრს აქვს დამოკიდებულება, რომ მათი ინდივიდუალური გადაწყვეტილება, რომ თანაბარ რიგში ჩადგეს საბარგო კარუსელთან (აეროპორტში), მცირე გავლენას მოახდენს სხვა მგზავრებზე, რომლებიც მაინც წინ წასვლას აირჩევენ, რითაც ისინი ისარგებლებენ კოლექტიური სიკეთის უპირატესობით მის წარმოებაში წვლილის შეტანის გარეშე (ე.წ. ,,უფასო მგზავრობა“). თუ ძალიან ბევრი ინდივიდი გადაწყვეტს ,,უფასო მგზავრობას“, კოლექტიური სარგებელი არ მიიღება. ინდივიდუალური წახალისება არ იძლევა ოპტიმალურ შედეგს ჯგუფისთვის, მაშინაც კი, როდესაც ყველას გაცნობიერებული აქვს საკუთარი წილი პასუხისმგებლობის, თუ სხვებიც თავიანთ პასუხისმგებლობას შეასრულებენ.

პრობლემის ილუსტრაციისთვის სასარგებლო მაგალითია თამაშის თეორიის გამოყენება, მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ სტრატეგიული ურთიერთქმედება კერძო ინტერესების მქონე აგენტებსა და რაციონალურ აგენტებს შორის. კოლექტიური ქმედების პრობლემის მარტივ ილუსტრაციას თამაშის თეორიაში ყველაზე ცნობილი შემთხვევა, პატიმრების დილემა იძლევა. დავუშვათ, შეიარაღებულ ძარცვაზე ეჭვობით, კრიმინალური წყვილი, ჯეიკი და ქეითი შეიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და მოათავსეს სხვადასხვა საკანში. წარმოვიდგინოთ, რომ პოლიციას არ აქვს დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ერთადერთი გამოსავალი ერთ-ერთი თანამზრახველის პირადი აღიარებაა. თუ არც ერთი პატიმარი არ აღიარებს დანაშაულს, პოლიციას საკმარისი მტკიცებულებები არ ექნება და წყვილსაც უფრო მცირე სასჯელს მიუსჯიან (პირობითად 1-1 წელი); აღიარების აუცილებლობის მოთხოვნით, პოლიცია ჯეიკს გარიგებას სთავაზობს, თუ ის ყველაფერს ქეითს დააბრალებს და ქეითი უარს იტყვის თანამშრომლობაზე, ასეთ შემთხვევაში ჯეიკს გაათავისუფლებენ, ხოლო ქეითს 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას მიუს-

ჯიან. მთავარი მოდელი აქ ისაა, რომ იგივე პირობას ქეითსაც შესთავაზებენ, ხოლო თუ ორივე აღიარებს დანაშაულს, ორივეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიან.

რა უნდა გააკეთონ ჯეიკმა და ქეითმა, თუ სასჯელის მინიმუმამდე დაყვანა სურთ? პატიმრების დილემა ზუსტად ის მოდელია, რომელიც ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას გვაძლევს. როგორც რაციონალური არჩევანის მოდელი, მისი ვარაუდია, რომ ადამიანები, რომელთა ქცევის მოდელირებაც ხდება, პირადი ინტერესების მქონე და რაციონალური არსებები არიან.

ჯეიკსაც და ქეითსაც ორი შესაძლო სტრატეგია გააჩნიათ: თანამშრომლობა და გაცემა. სურათი 1.1-ზე მოცემულ ცხრილში მითითებულია თითოეულის სარგებელი. ჯეიკის სტრატეგიები მოცემულია მარცხნივ, ხოლო ქეითის ზედა ნაწილში. ზედა ხაზი ასახავს ქეითის გადაწყვეტილების შედეგს ჯეიკის გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, ხოლო ქვედა ხაზში მოცემულია ჯეიკის გადაწყვეტილებების შედეგები ქეითის გადაწყვეტილებასთან მიმართებაში. მაგალითად, თუ ჯეიკი გასცემს ქეითს, ხოლო ქეითი - არა (აირჩევს თანამშრომლობას), ჯეიკის სასჯელი იქნება - 0 წელი, ხოლო ქეითის - 4 წელი. თუ ჯეიკი ითანამშრომლებს, ხოლო ქეითი - გასცემს, ასეთ შემთხვევაში ქეითს სასჯელი გაუნულდება, ხოლო ჯეიკი - 4 წლის ვადით მიიღებს სასჯელს. თუ ორივეს, ქეითსაც და ჯეიკსაც, სასჯელის შემცირება სურთ, ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია გამოვიყენოთ თამაშის თეორიის დილემა შედეგების პროგნოზირებისთვის.

სურათი 1.1. პატიმრების დილემა

		ქეითი	
		თანამშრომლობა	გაცემა
ჯეიკი	თანამშრომლობა	1 1	0 4
	გაცემა	4 0	3 3

ნებისმიერ შემთხვევაში, თანამშრომლობა-თანამშრომლობა სტრატეგიის მიღმა, რომელიმე მხარე ზარალდება. თამაშის თეორიის ენით ,,აღიარება“ დომინანტური სტრატეგიაა და თუ ორივე, ქეითიც და ჯეიკიც, ამ სტრატეგიას მიმართავენ, ორივე სამ-სამ წელს მოიხდიან ციხეში. თუ ჯეიკი და ქეითი ,,რაციონალურად“ დაიცავენ თავიანთ ინტერესებს, შედეგი ორივესთვის უარესი იქნება (4;4), ნაცვლად სხვა უფრო უმჯობესი სტრატეგიის არჩევისა. ხოლო თუ ორივე შეძლებენ ,,თანამშრომლობას“, სასჯელი ორივესთვის უკეთესი იქნებოდა (1;1); თუმცა, თანამშრომლობის სტიმული, იმ დაშვებით, რომ ერთის ,,თანამშრომლობის“ შემთხვევაში, მეორე მას ,,გასცემს“ აქ სტიმულს კარგავს.

ჯეიკისა და ქეითის ისტორია ძალიან სპეციფიური სცენარია, მაგრამ პატიმრების დილემის ძირეული ლოგიკა სხვა ვითარებებშიც შეიძლება გამოვიყენოთ. დიქტატურაში მცხოვრებ ადამიანთა დიდ ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს კოლექტიური ინტერესი დემოკრატიაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ადამიანის ინტერესებში შეიძლება იყოს პირველობა ქუჩაში პროტესტის გამოსახატად. ანალოგიურად, ეკონომიკური კრიზისის დროს, ადამიანებს შეეძლებათ გაუჩნდეთ ინტერესი მოხმარებისა და ინვესტიციების შენარჩუნების, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად რომელიმე ადამიანის ინტერესებში იქნება მეტი ხარჯის გაწევის სურვილი.

კოლექტიური ქმედება წარმოქმნის პრობლემას, მაგრამ ზოგიერთი პრობლემა უფრო მეტად მოგვარებადია. რატომ? ოლსონი გამოყოფს სამი ტიპის ჯგუფს: პრივილეგირებულს, შუალედურსა და ლატენტურს. პრივილეგირებულია ჯგუფი, რომელშიც მინიმუმ ერთი წევრი მაინც მაღალ დონეზე აფასებს კოლექტიურ სიკეთეს და მზადაა თავად გასწიოს კოლექტიური სიკეთის მისაღწევად სრული პასუხისმგებლობა, იმის მიუხედავად, სხვა მონაწილეობს თუ არა მასში. მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში ამტკიცებდნენ, რომ ,,ჰეგემონურ ძალებს“, როგორიც ბრიტანეთი იყო მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის ბოლოს და დღესაც აშშ-ია,

გლობალური წესრიგის შენარჩუნებაში შეიძლება ასეთი როლი ჰქონდათ, როდესაც მზად იყვნენ კოლექტიური პრობლემების გადასაჭრელად, როგორიცაა თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო საზღვაო ხაზებზე აეღოთ კონტროლი (Gilpin, 2001: 93–97). ოლსონი ვარაუდობს, რომ პრივილეგირებული ჯგუფები აწარმოებენ კოლექტიურ სიკეთეს, რაც ამცირებს კოლექტიური ქმედების პრობლემის წარმოქმნას.

შუალედურ ჯგუფებს არ ჰყავთ ისეთი ინდივიდები, რომლებსაც სურთ კოლექტიური სიკეთე ცალმხრივად უზრუნველყონ, მაგრამ კოლექტიური სიკეთის მისაღწევად თითოეული ინდივიდის წვლილი მნიშნელოვან და შესამჩნევ გავლენას ახდენს. ამგვარი მდგომარეობა კარგად ჩანს აეროპორტში მყოფი მგზავრების წინაშე, რომლებიც თავიანთ ბარგს ელოდებიან. ამ შემთხვევაში, არავის აქვს შესაძლებლობა მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით აღასრულოს მისაღები შედეგი, მაგრამ თითოეულ მგზავრს შეუძლია შეამჩნიოს, თუ როდის მიდის სხვა ადამიანი მასზე წინ და როგორ ქმნის ეს მოქმედება უმნიშვნელო, მაგრამ შესამჩნევ დისკომფორტს სხვებისთვის. ოლსონი არ აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, წარმატებული იქნება თუ არა შუალედური ჯგუფების მოქმედება კოლექტიური სიკეთის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ამტკიცებს, რომ წარმატება დამოკიდებული იქნება ამ ჯგუფში რაიმე სახის ფორმალურ თუ არაფორმალურ კოორდინირებაზე.

დაბოლოს, ლატენტური ეწოდება ისეთ ჯგუფს, რომელშიც არც ერთი ინდივიდის ქმედებას არ აქვს რაიმე შესამჩნევი გავლენა სხვებზე. ინფლაციის პროცესში მომხმარებლები შეიძლება ასეთ ლატენტურ ჯგუფად წარმოვიდგინოთ. მაშინაც კი, თუ ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გადაწყვეტს დახარჯვას და არა დაზოგვას, ეს არ მოიტანს რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებას მთლიან მოთხოვნასა თუ ეკონომიკური კრიზისის შემცირებაზე. ოლსონი პროგნოზირებს, რომ ლატენტურ ჯგუფებს არ აქვთ შესაძლებლობა კოლექტიური სიკეთის წარმოების, გარდა ,,შერჩევითი სტიმულების“ გამოყენებისა - იმგვარი ჯილდოების თუ სასჯელების დაწესება, რომლე-

ბიც დაკავშირებული იქნება ინდივიდუალურ წვლილთან და არა მთლიანი ჯგუფის მოქმედებასთან.

კოლექტიური მოქმედება და გარემო

გარემოს დაცვა ხშირად ქმნის კოლექტიური მოქმედების პრობლემას. კლასიკურ სტატიაში ,,საზოგადოების ტრაგედია" ეკოლოგისტმა გარეტ ჰარდინმა (1968) შემოგვთავაზა საძოვრების მაგალითი, რომელზეც მესაქონლეებს თავისუფლად შეუძლიათ პირუტყვის ძოვება. თითოეული მესაქონლე სარგებელს იღებს საძოვრის გამოყენებით, თუმცა ამით საძოვრებს აფუჭებს დანარჩენი მწყემსებისთვის. ამგვარად, საერთო საძოვრის გამოყენებით, თითოეული მესაქონლე მნიშვნელოვან პირად სარგებელს იღებს, თუმცა დანარჩენებს მცირე ხარჯს აკისრებს. პოლიტიკის პრობლემა, რომელზედაც ჰარდინს ყურადღების გამახვილება სურდა, ჭარბ პოპულაციას ეხება. ამ არგუმენტის ლოგიკა - რომელიც არსებითად ჰგავს პატიმრების დილემის თამაშს - შეიძლება მივუსადაგოთ სხვა ისეთ ეკოლოგიურ პრობლემასაც, როგორიცაა კლიმატის ცვლილება.

ატმოსფერო ჩვეულებრივი მოვლენაა, რომლის ეფექტური რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, ინდივიდებს შესაძლებლობა აქვთ ის გამოიყენონ სათბური გაზების შესამცირებლად. ატმოსფეროში ნახშირბადის გამოყოფით, თითოეული ინდივიდი იღებს სარგებელს, მაგრამ ქმნის დანაკარგს მსოფლიოს დანარჩენი მოსახლეობისთვის. ეს არის კოლექტიური ქმედების კლასიკური პრობლემა, თითოეული ინდივიდი მზად არის შეამციროს ემისიები, თუ სხვებიც იმავე ვალდებულებას აიღებენ. მაგრამ, გარკვეული შეთანხმების ან რაიმე ხერხის გამოყენების გარეშე, ასეთი ,,შეთანხმებები" უბრალო საუბარს ემსგავსება. რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები პროგნოზირებენ, რომ პირადი ინტერესების მქონე პოლიტიკოსები სიამოვნებით საუბრობენ კლიმატის ცვლილებით წარმოქმნილ ეგზისტენციალურ საფრთხეებზე, მაგრამ ასევე ცდილობენ, რომ პრობლემის ფოკუსი სხვა ქვეყნებისკენ მიმართან, რომ სხვების მიერ ემისიების შემცირების შემთხვევაში ეს შედეგი მაინც დადგება. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში

ყოველთვის რჩება ,,მოჩვენებითი“ შეთანხმების ნაწილი, რომელიც ქვეყნებს უტოვებს გაუთავებელ ხვრელებს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს თავი აარიდონ ნაწილობრივ მაინც დადებულ შეთანხმებას.

კოლექტიურ ქმედებასთან დაკავშირებული რაციონალური არჩევანის თეორიები ხშირად უიმედო რჩევებს გვთავაზობენ, მაგრამ რეალობა ისაა, რომ გლობალური კოლექტიური პრობლემის გადასაჭრელად ყველა ქმედება არ აღმოჩნდა წარუმატებელი. მაგალითად, 1987 წლის მონრეალის პროტოკოლის შედეგად, დედამიწის ზედა ატმოსფეროში ოზონის დაშლის ოდესღაც აქტუალური პრობლემა ეფექტურად მოგვარდა. ერთი შეხედვით, გლობალური დათბობა და ოზონის დაქვეითება მსგავს პრობლემებს ჰგავს. ქლორფტორნახშირბადის (CFC) ემისია ატმოსფეროში, როგორც ეკონომიკური საქმიანობის შედეგი, იწვევს გარემოს ზიანს და მსგავსად სათბური გაზების ემისიისა, ამ ზიანის ადგილმდებარეობა არ არის დაკავშირებული მოხმარებული ემისიების ადგილმდებარეობასთან.

მაშინ, რატომ იყო კოლექტიური ქმედება უფრო წარმატებული ოზონის დაშლის შემთხვევაში, ვიდრე ეს არის გლობალური დათბობის დროს? აქ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ემისიების კონცენტრაციაა, მონრეალის პროტოკოლის რატიფიცირების დროს, CFC-ის ემისიების 78% მხოლოდ 12 ქვეყნიდან მოდიოდა. მართლაც, აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტოს გამოთვლებით, აშშ-ის წილი ემისიების შემცირებაში უფრო მეტად სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე გლობალურად გამონაბოლქვების განახევრების პროექტი. ოლსონის ტერმინით რომ ვთქვათ, ქვეყნები, რომლებიც ასხივებდნენ CFC-ებს, იყვნენ ,,პრივილეგირებულ“ მდგომარეობაში, რადგან აშშ იმდენად აფასებდა CFC-ის შემცირების კოლექტიურ სიკეთეს, რომ მზად იყო ცალმხრივად თავის თავზე აეღო ემისიების შემცირების ხარჯები. მეორე მხრივ, სათბური გაზების ემისია უფრო ნაკლებად კონცენტრირებულია, ჩინეთი პასუხისმგებელია სათბური გაზების ემისიების დაახლოებით 25%-ზე, ხოლო აშშ - 15%-ზე. ამ შემთხვევაში, ყველა ქვეყნის წვლილი თანაბრად მნიშვნელოვანია გლობალურად

ემისიების შემცირებაზე (SANDLER, 2004: 221-225) და ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს კლიმატის ცვლილების სტაბილიზაციას, მხოლოდ საკუთარი ემისიების შემცირების ხარჯზე. კლიმატის ცვლილების შემთხვევაში ქვეყნები აღმოჩნდნენ შუალედურ ჯგუფში, რომელშიც კოლექტიური მოქმედების პრობლემა წარმატებით გადაიჭრება, თუ ქვეყნებს შორის კოორდინაცია და თანამშრომლობა მოხდება.

რა ვითარებაში შეიძლება შუალედური ჯგუფის ქვეყნებს წარმატებით უზრუნველყონ კოლექტიური სიკეთე? თამაშის თეორიიდან ერთ-ერთი საინტერესო მიგნება ისაა, რომ პატიმრების დილემის თამაშშიც კი შეუძლიათ ადამიანებს ერთმანეთთან თანამშრომლობის არსის გააზრება და სწავლება, როცა იციან, რომ თამაშს განგრძობითი ხასიათი აქვს და არა ერთჯერადი. თუ მოთამაშეები არიან ,,პირობითი თანამშრომლები", რომლებიც თანამშრომლობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვებიც თანამშრომლობენ და თუ მათ იციან, რომ თამაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გაგრძელდება, ისინი აღმოაჩენენ, რომ მათ გააჩნიათ თანამშრომლობის სტიმული, რათა მომავალში სხვებისგან გაზარდონ თანამშრომლობის ალბათობა (Hindmoor and Taylor, 2015: 42–43).

საერთო მენეჯმენტის საქმის შესწავლის დროს, ელინორ ოსტრომმა (იხ. 1990, 2012) შეისწავლა, თუ როგორ შეუძლიათ შუალედურ ჯგუფში მყოფ მოქმედ პირებს ისწავლონ თანამშრომლობა საერთო აუზის მქონე რესურსების შესანარჩუნებლად, როგორიცაა მეთევზეობა და წყლის მცირე რესურსები. ასეთი თანამშრომლობის ერთ-ერთ მეთოდად დღეების როტაციას იყენებენ, რომელიც აწესებს კვოტებს, თუ როდის და რა რაოდენობის რესურსის მიღება შეუძლია ადამიანს. ოსტრომის აზრით, აქ მნიშვნელოვანი ფაქტორია დრო, რადგან ადამიანები უფრო მეტად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, როდესაც ფიქრობენ, რომ ერთმანეთთან დროდადრო ურთიერთობა მოუწევთ. ამასთან, ასეთი თანამშრომლობის შემთხვევაში ადამიანებს შეუძლიათ აკონტროლონ, თუ რამდენად იცავენ სხვა ადამიანები დადებულ შეთანხმებებს. ოსტრომი ასევე ავითარებს ინდივიდუალური ქცევის ჩამოყალიბებისა და ეკონომიკური მოტი-

ვაციის კავშირს ერთმანეთთან. მისი აზრით, მჭიდროდ შეკრულ საზოგადოებაში, რომელშიც ადამიანებმა არა მხოლოდ უნდა იმუშაონ, არამედ უნდა იცხოვრონ ერთმანეთის გვერდით, განდევნის საფრთხე ძლიერი შემაკავებელი ფაქტორია. საზოგადოებაში შემუშავებული ნორმები არ არის მხოლოდ პირადი ინტერესების საკითხი, რადგან ადამიანებს ასევე სურთ თანამშრომლობა ისეთ სიტუაციებში, როდესაც მათ სჯერათ, რომ სხვების თანამშრომლობის მოტივაციაც სწორი საქმის კეთებაა.

რაში ცდება რაციონალური არჩევანის თეორია?

რაციონალური არჩევანის თეორიებს ხშირად ახლავს ძლიერი უკუკავშირი. მომხრეები თვლიან, რომ რაციონალური არჩევანის მიდგომას შემუშავებული აქვს პოლიტიკის შედეგების გამჭრიახი, მკაცრი და თავდაჯერებული ახსნები, რომლებიც დისციპლინის სხვა ახსნებს თითქმის არ ემთხვევა. ხოლო მისი მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ საუკეთესო შემთხვევაში რაციონალური არჩევანის თეორიის ახსნები იმეორებს იმას, რაც ისეც ყველამ იცის, მაგრამ ავითარებს ახსნის იმგვარ ენას, რომელიც ცოტას თუ ესმის. ამ გზით კი ის ხშირად პოლიტიკაში დამღუპველ ახსნებს ან არჩევანს გვთავაზობს. ქვემოთ წარმოგიდგენთ ამგვარი წინააღმდეგობების ექვს ძირითად სახეს:

1. ადამიანები არ არიან რაციონალურები - რაციონალური არჩევანის თეორია ადამიანებს რაციონალურად თვლის იმდენად, რამდენადაც მათ მიზნების მისაღწევად საუკეთესო საშუალებების გამოყენება შეუძლიათ. მაგრამ, პრაქტიკაში, ადამიანებმა ყოველთვის არ იციან, თუ რა შედეგები მოჰყვება მათ ქმედებებს და შეიძლება ისე იმოქმედონ, რომ საბოლოოდ თავიანთი ინტერესები დაზიანონ. ადამიანები მოქმედებენ შეზღუდული ინფორმაციის პირობებში, ზოგჯერ რადიკალური გაურკვევლობის პირობებშიც კი. აშშ-ის თავდაცვის ყოფილი სახელმწიფო მდივნის დონალდ რამსფელდის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ადამიანებმა არ იციან ის, რაც არ იციან.

მიუხედავად იმის აღიარებისა, რომ ინდივიდებს შეიძლება ყოველთვის არ ჰქონდეთ საკმარისი ინფორმაცია შესაძლო გადაწყვეტილების მისაღებად, რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები მაინც ამტკიცებენ, რომ ინდივიდი ყოველთვის მაქსიმალურად იყენებს იმ ინფორმაციას, რაც აქვს. აქ კიდევ ერთი პრობლემა იკვეთება, ადამიანებს ყოველთვის არ ეხერხებათ გადაწყვეტილების მიღება, მაგალითად, ბიჰევიორისტმა ეკონომისტებმა არაერთხელ აჩვენეს, რომ პრაქტიკაში ადამიანები ხშირად მოქმედებენ არაოპტიმალური და ირაციონალური გზებით (Kahneman, 2011). კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ თუ ადამიანები ირაციონალურად იქცევიან, რაციონალური არჩევანის თეორია ნაკლებად სარწმუნო ახსნებს შემოგვთავაზებს რეალურ სამყაროში მათი ქცევების შესახებ.

ამ კრიტიკას რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები დამაჯერებლად პასუხობენ, რომ გადაწყვეტილების მიღება თავისთავად ფრთხილი პროცესია და ცუდი გადაწყვეტილებაც შეიძლება გარკვეულ პირობებში რეალურად რაციონალური არჩევანი იყოს. ინფორმაციის შეგროვებითა და განხილვით, კი ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ უფრო უკეთესი გადაწყვეტილებები (ანუ იმგვარი არჩევანი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ინდივიდის ინტერესებს). რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსების აზრით, ყველა უმნიშვნელო გადაწყვეტილების ოპტიმალური გზებით მიღების მცდელობა ძალზე ირაციონალური იქნება, რადგან დრო და შემეცნებითი შესაძლებლობები იმდენად მწირი რესურსებია, რომ ის ყველაზე ღირებული გამოყენებისთვის უნდა იყოს მიმართული. ადამიანებს შეუძლიათ ამ თვალსაზრისით იყვნენ რაციონალურად ირაციონალურები (Caplan, 2007).

2. ადამიანები არ არიან ეგოისტები - რაციონალური არჩევანის თეორიის მეორე კრიტიკა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ადამიანები მუდმივად ეგოისტები არ არიან. მართლაც, კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ერთ-ერთი რამ, რაც პოლიტიკას ეკონომიკის სფეროსგან განსხვავებს, არის სწორედ ის მზადყოფნა, რაც ადამიანებს სხვა ადამიანების წინაშე გააჩნიათ სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე. პოლიტიკა ხშირად უხეში ბიზნესია, რომელშიც შე-

თანხმების დარღვევა ან ,,მეგობრის ღალატი“ შეიძლება ტაქტიკური უპირატესობა იყოს ერთი მხარისთვის, მაგრამ პოლიტიკას შეუძლია ადამიანებში ზოგჯერ საუკეთესო თვისებები გამოავლინოს. ამის მაგალითია ალტრუისტული ქცევა, რომელსაც რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები ყოველთვის პირად ინტერესად განიხილავენ. მაგალითად, პოლიტიკოსები, რომლებიც საკუთარი რწმენის და ღირებულებების დაცვის გამო მზად არიან ციხეში წავიდნენ, ან აქტივისტები, რომლებიც საკუთარ სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებენ კამპანიის მიზნებისთვის. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ექსპერიმენტულ გარემოში, სადაც ადამიანები რჩებიან მკაფიო არჩევანის წინაშე პირად ინტერესებსა და სამართლიანობას შორის, პირადი ინტერესი ყოველთვის არ იმარჯვებს.

ულტიმატუმის თამაშში ორმა მოთამაშემ უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ გაიყოფენ მათთვის მიცემულ თანხას. პირველი მოთამაშე აკეთებს შეთავაზებას ფულის გაყოფის შესახებ, ხოლო მეორე მოთამაშეს შეუძლია უარყოს ან მიიღოს ეს შეთავაზება. თუ მეორე მოთამაშე უარს იტყვის, მაშინ ორივე ხელცარიელი დარჩება, ხოლო თუ მიიღებს შეთავაზებულ წინადადებას, თანხა შესაბამისად გაიყოფა. ულტიმატუმის თამაში მხოლოდ ერთხელ ტარდება და ანონიმურად. რა სახის შეთავაზებას გააკეთებს პირველი მოთამაშე? თუ ის მთლიანად ეგოისტია, მაშინ საკუთარ თავს ფულის 99% უნდა შესთავაზოს და მეორე მონაწილეს დაუტოვოს არჩევანი ერთი პროცენტის მიღებასა და არაფრის მიღებას შორის, მაგრამ პრაქტიკაში, მეორე პირისთვის გაკეთებული საშუალო შეთავაზება რეალურად 30-დან 40%-მდე მერყეობს, ასევე ხშირია 50-50-ზე (თანაბრად) გაყოფის შეთავაზებები. გარდა ამისა, ბევრი მოთამაშე, რომელსაც რჩება არჩევანი თითქმის არაფრის მიღებასა (მცირე ნაწილის) და არაფრის მიღებას შორის, ირჩევს საერთოდ არაფერს, რათა პირველმა მოთამაშემ თითქმის ყველაფერი არ მიიღოს (იხ. Mousazadeha და Izadkhah, 2015).

პირადი ინტერესი სტანდარტულ ვარაუდად რჩება რაციონალურ არჩევანში, რადგან ბევრ მიმდევარს სჯერა, რომ ადამიანებს ნამდვილად პირადი ინტერესები ამოძრავებთ და ასეთი დაშვების

დროს, უფრო მარტივია მათი შესაძლო ქცევის პროგნოზირება. მაგრამ რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები შესაძლოა ამტკიცებდნენ იმასაც, რომ რაციონალური არჩევანის თეორია პრაქტიკაში პირადი ინტერესების გარეშეც მიიღწევა. მართლაც, რამდენიმე ეკონომისტმა და რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსმა რაციონალური არჩევანის მოდელებში შემოიტანეს ,,სხვა-შესაბამისად" პრეფერენციები იმ დაშვებით, რომ რაციონალურ აქტორებს შეუძლიათ თავიანთი მატერიალური ინტერესები ალტრუიზმთან ან მის საწინააღმდეგო გამოვლინებებთან შეწონონ (იხ. Brennan და Hamlin, 2000).

3. რაციონალური არჩევანის თეორია უგულებელყოფს ინდივიდუალურ აგენტობას და იდეებს - პოლიტიკის მეცნიერებაში სტრუქტურის (როგორც ძირითადი პირობის) და აგენტობის (პიროვნების შესაძლებლობა მიაღწიოს თავის მიზანს და გავლენა მოახდინოს გარემოზე) საკითხებმა ადგილი დაუთმო უფრო ნიუანსირებულ დებატებს ამ ორ ფაქტორს შორის ურთიერთქმედების შესახებ. გამბედაობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ აგენტობა არის ყველაფერი ან სტრუქტურა არის ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია პოლიტიკური პროცესებისა და შედეგების ახსნისას. თუმცა, რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები ახლოს არიან ამ ახსნაში.

პრობლემა ის არის, რომ რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები უგულებელყოფენ სტრუქტურას ან აგენტობას. ისინი აღიარებენ, რომ სტრუქტურა გავლენას ახდენს აგენტობაზე სტიმულების წარმოქმნის გზით. ამასთან, რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალისტებმა აღიარეს, რომ აგენტებს შეუძლიათ შეგნებულად შექმნან ან შეცვალონ ინსტიტუტები (სტრუქტურები), რათა ეს სტიმული შეცვალონ. აქ ჩნდება პრობლემა აგენტობის გააზრებაში, რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები ვარაუდობენ, რომ აქტორთა ჯგუფებს აქვთ გარეგნულად მიღებული, ფიქსირებული და საკუთარი ინტერესების მქონე მიზნები, რომლებსაც რაციონალური გზით ახორციელებენ. ერთსა და იმავე ვითარებაში მყოფმა ჯგუფებმა შეიძლება ერთნაირი არჩევანი გააკეთონ, მსგავსად იმისა, როგორც ერთი და იმავე შეკითხვაზე სხვადასხვა ტიპის და სახეობის

კალკულატორი ერთ პასუხს მოგვცემს. აგენტების წახალისების სტრუქტურა სრულად განსაზღვრავს მათ ქცევას და გავლენას ახდენს ინდივიდუალურ არჩევანზე, ინდივიდუალური აგენტობის იგნორირებით.

ინდივიდუალური აგენტობის იგნორირებით, რაციონალურ არჩევანს ასევე ემუქრება მიზეზშედეგობრივი ახსნების იგნორირება. ერთ-ერთი ხილული გზა, რომლითაც აგენტები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, არის იდეები, რომლებსაც ისინი ცნობიერად ან ქვეცნობიერად ფლობენ. ადამიანებს აქვთ განსხვავებული ნორმატიული წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი და უფრო ზოგადად, როგორი უნდა იყოს სამყარო. ზოგჯერ ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ ნორმატიული იდეები, რადგან ადამიანებს ხშირად სჯერათ ის, რაც მათ რწმენებსა და ინტერესებშია. მაგრამ არ არის მიზანშეწონილი იმის მტკიცება, რომ იდეების ახსნა ყოველთვის და ყველგან მარტივად შესაძლებელია, რადგან ინდივიდებს ასევე აქვთ განსხვავებული ემპირიული წარმოდგენები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მუშაობს სამყარო და როგორი ტიპის ინტერესებია მათ მოქმედებაში ჩადებული (Hay, 2002: 208-209). აქ მთავარი ის არის, რომ აგენტები ყოველთვის ერთნაირად არ მოქმედებენ, როდესაც ერთსა და იმავე ვითარებაში ან გარემოში არიან მოთავსებულნი.

ამგვარი კრიტიკები დამატებით უფრო მეტ შეკითხვას აჩენს.

4. რაციონალურ არჩევანს მწირი ემპირიული დასაბუთებები გააჩნია - ხშირად მსჯელობენ, რომ რაციონალური არჩევანის თეორიას პრაქტიკაში ძალიან მწირი ემპირიული მტკიცებულებები გააჩნია და, რომ ბევრი რაციონალური არჩევანის ახსნა არ არის პრაქტიკულად გამოცდილი. ასევე, მათ, ვინც ამგვარი ახსნები გარკვეული ემპირიული შემოწმებები განახორციელა ,,ან წარუმატებელი აღმოჩნდა მის მიერვე შექმნილი პირობებით, ან მხოლოდ თეორიულ მხარდაჭერას ეფუძნება ისინი, რომლებიც ზოგადობით და ბანალურობით ხასიათდება“ (Green და Shapiro, 1994: 6).

5. რაციონალური არჩევანი დამოკიდებულია გაწონასწორებულ (ეკვილიბრიუმი) ახსნებზე - კრიტიკოსები ასევე ამტკიცებენ,

რომ რაციონალური არჩევანის თეორია დამოკიდებულია გაწონასწორებულ ახსნა-განმარტებებზე, რომლებიც თანმიმდევრულად ააშკარავებენ არაბალანსურ თვისებებს. ბუნებისმეცნიერების აზრით, წონასწარობა მაშინ წარმოიქმნება, როდესაც ფიზიკური ძალები იმგვარად ურთიერთქმედებენ, რომ პროცესი ან უსასრულოდ მეორდება (პლანეტების მოძრაობა მზის გარშემო) ან თანმიმდევრულად იცვლება (ცხელი სასმელი საბოლოოდ გაცივდება ოთახის ტემპერატურამდე). ეკონომისტები და რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები თვლიან, რომ წონასწარობა წარმოიქმნება, როდესაც ინდივიდები ურთიერთობენ ისე, რომ არც ერთ ინდივიდს არ გააჩნია რაიმე მიზეზი თავისი ქმედებების შეცვლის. რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსები ეძებენ და ეყრდნობიან წონასწორობის ცნებას, რადგან ამ ქმედების შედეგის განხილვით, როგორც წონასწარობის მიღწევის, მათ ეძლევათ ახსნა, თუ რატომ შეიძლება იყოს ეს შედეგი მოსალოდნელი და არა სხვა. მაგალითად, პატიმრების დილემას რომ მივუბრუნდეთ, ქეითის და ჯეიკის აღიარება არის წონასწორობა, რადგან თითოეულისთვის მნიშვნელოვანია თუ როგორ მოიქცევა მეორე მხარე, თუ თამაშს მხოლოდ ერთხელ ითამაშებენ. თუ მათ იციან, რომ ორივეს მხრიდან ერთმანეთთან თანამშრომლობის შედეგია წონასწორობა, მაშინ შეგვიძლია მათი ქცევის წინასწარმეტყველება. მაგრამ კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ყველაზე საინტერესო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს ხშირად ახასიათებთ უეცარი, მოულოდნელი და დიდი ცვლილებები, რომლებიც ანგრევს არსებულ წონასწარობას და შედეგად, რაციონალური არჩევანის თეორია მთელ დროს წონასწარობის დარღვევით მიღებული შედეგის ახსნისთვის ხარჯავს. მსგავსი მდგომარეობა შეიძლება განვიხილოთ, მაგალითად 2007/08 წლების ფინანსური კრიზისის ან პოლიტიკის დღის წესრიგის უეცრად შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემთხვევებში. ეს მოვლენები ღრმად არღვევენ წონასწარობას და მათზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია.

6. რაციონალური არჩევანი პოლიტიკური პროექტია - და ბოლოს, კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მოდელების ტექნიკური ფარ-

დის და ემპირიული ტესტირებების მიღმა, რაციონალური არჩევანის თეორია მკვეთრად პოლიტიკური პროექტია, რომელსაც იყენებენ პირადი ინტერესების გზით კონკურენტული ბაზრების თაყვანისცემისა და მთავრობების დაკნინების მიზნით.

იმპერიალიზმიდან მშვიდობიან თანაარსებობამდე

რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსებს თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხის მიმართ აქვთ წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა. ისინი ამტკიცებენ, რომ ადამიანები მართლაც რაციონალურები არიან და, რომ ასეთი ახსნები სულ უფრო მეტად დაუახლოვდა ემპირიულ მტკიცებულებებს, რითაც რაციონალური არჩევანით ახსნა, სხვა ახსნებთან შედარებით. უფრო კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა.

მაგრამ საკითხი უფრო მეტად დგას პროდუქტიულ ალტერნატივებთან მიმართებაში. კერძოდ, ჩვენ შეგვიძლია რაციონალური არჩევანი მივიჩნიოთ, როგორც ,,ორგანიზაციული პერსპექტივა“ (Dowding, 2015), რომელიც ქმნის გარემოზე ისეთ სასარგებლო შეხედულებებს, რომლებშიც პოლიტიკური აქტორები აღმოჩნდებიან და უწევთ არჩევანის გაკეთება. რაციონალური არჩევანის მოდელები შეიძლება დაიხვეწოს საწყისი მოდელების ეტაპობრივი გართულების გზით (მაგალითად, პატიმართა დილემის ერთჯერადი თამაშიდან განმეორებით თამაშზე გადასვლისას) ან იმ ვარაუდების შემსუბუქებით, რომ ადამიანები სრულად რაციონალური არსებები არიან. კოლექტიური მოქმედების ყველაზე დახვეწილი და დამაჯერებელი რაციონალური არჩევანის მოდელებში ნავარაუდებია, რომ ადამიანებს ,,შერეული“ მოტივები გააჩნიათ და რომ მათი ქმედებები ნაწილობრივ საკუთარი ინტერესებით და ნაწილობრივ კიდევ - ვალდებულებებით არის განპირობებული. და ასევე იმაზე ხაზგასმაც, რომ აგენტები მოქმედებენ გაურკვეველ სამყაროში, სადაც ინფორმაციის მოპოვება არც ისე მარტივია. ოსტრომის ნაშრომი საერთო აუზის რესურსების შენარჩუნების შესახებ ვარაუდობს, რომ ინდივიდების მოქმედებას სოციალური ნორმებისა და პირადი ინტერესების შეჯერება განსაზღვრავს. ეს ნაშრომი გზას უხსნის ახსნებში

,,საზღვრების გადაკვეთის“ შესაძლებლობას, რომელიც დასაწყისშივე ვახსენეთ და ხაზი გავუსვით, რომ რაციონალური არჩევანი შერწყმულია და გამოიყენება სხვა თეორიულ ახსნებთან ან მიდგომებთან ერთად, კონკრეტული ემპირიული თავსატეხების გადასაჭრელად. არ არსებობს მიზეზი იმისა, რომ რაციონალური არჩევანის თეორია არ გამოვიყენოთ ინსტიტუციონალურ, კონსტრუქტივისტულ, ფემინისტურ ან თუნდაც მარქსისტულ ახსნებთან ერთად.

დასკვნა

ნეოკლასიკური ეკონომიკა ანალიზის და ინსტრუმენტების ისეთ ერთობლიობას და ჩარჩოს გვთავაზობს, რაც რადიკალურად ზრდის ჩვენს გაგებას ბაზართან დაკავშირებული ქცევების შესახებ. რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსებმა ეს ინსტრუმენტი გამოიყენეს პოლიტიკურ ქცევაზე და, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მეცნიერების ტრანსფორმაცია ნაკლებად დასრულებული იყო, ამით უზრუნველყვეს მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე გარკვეული შეხედულებების ჩამოყალიბება.

რაციონალური არჩევანის თეორია არ აპირებს დანარჩენი პოლიტიკური მეცნიერების ოკუპაციას. მაგრამ ეს არც წარმავალი ინტელექტუალური შრომაა და სწორედ ამ მიზეზით, რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსებსა და სხვა მიდგომების მომხრეებს შორის დავა, სავარაუდოდ, გაგრძელდება. ეს სულაც არ არის ცუდი მოვლენა, რადგან პოლიტოლოგები ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას დისციპლინის ფარგლებში თეორიული კონსესუსის არარსებობის გამო. ახსნის ეს მიდგომები კი ერთ-ერთი ღირებული მიდგომებია, რომელიც ასაბუთებს, რომ მონოპოლიები არაეფექტურია და კონკურენცია, რომელიც ხშირად მტკივნეულია, მაინც მომგებიანი ღირებულებაა. აკადემიურ დებატებს შუძლიათ გამოავლინონ სისუსტეები, როგორც თეორიული, ასევე, ემპირიული გზებით და ეს ორმხრივად სასარგებლოა რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსებისთვის, რამდენადაც ხელს შეუწყობს მათი არგუმენტების დახვეწას და უფრო სრულყოფილი რაციონალური ახსნების შემუშავებას. ამავდროულად, კრიტიკოსებმა უნდა გააცნობიერონ, რომ რაციონალ-

ური არჩევანის თეორია ბევრად წინ წავიდა და კოლექტიური მოქმედების პრობლემის წარმოშობა მხოლოდ სტიმულების არარსებობით აღარ არის ახსნილი, სანაცვლოდ, რაციონალური არჩევანის ახსნები პოლიტიკური მოვლენების უფრო კომპლექსური და სიღრმისეულ კვლევითი სამუშაოებისკენ გვიბიძგებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Muller, E. (1988) 'Democracy, Economic Development and Income Inequality', American Sociological Review, 53 (February): 50–68.

2. Hindmoor, A. (2011) 'Major Combat Operations Have Ended? Arguing About Rational Choice', British Journal of Political Science, 41(1): 191– 210.

3. Hindmoor, A. and Taylor, B. (2015) Rational Choice, 2nd edition (London: Palgrave Macmillan).

4. Rubinstein, A. (2012) Economic Fables (Cambridge: Open Book Publishers).

5. Levitt, S. and Dubner, S. (2005) Freakonomics: A Rogue Economist Explores the Hidden Side of Everything (New York: William Morrow).

6. Gilpin, R. (2001) Global Political Economy: Understanding the International

Economic Order (Princeton, NJ: Princeton University Press).

7. Hardin, G. (1968) 'The Tragedy of the Commons, Science, 162: 1243–1248.

8. Kahneman, D. (2011) Thinking, Fast and Slow (London: Allen Lane).

9. Kahneman, D. and Tversky, A. (1979) 'Prospect Theory: An Analysis of Decision Under Risk', Econometrica: Journal of the Econometric Society, 47(2): 263–291.

10. Mousazadeha, M. and Izadkhah, M. (2015) 'The Ultimatum Game: A Comprehensive Literature Review', Applied Mathematics in Engineering, Management and Technology, 3(1) 2015: 158–165.

11. Brennan, G. and Hamlin, A. (2000) Democratic Devices and Desires (New York: Cambridge University Press).

თარგმნა თეიმურაზ ბეჟანიძემ